თსუ იურიდიული ფაკულტეტთან არსებული
თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის
სხდომის ოქმი №1

22 დეკემბერი, 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფესორი ბესარიონ ზოიძე (ინსტიტუტის დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე)
2. პროფესორი ირაკლი ბურდული
3. პროფესორი ლადო ჭანტურია
4. პროფესორი თევდორე ნინიძე
5. ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია
6. ასოცირებული პროფესორი მარიამ ცისკაძე
7. ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქოჩაშვილი
8. ასისტენტ-პროფესორი თამარ ზოიძე
9. ასისტენტ-პროფესორი ნათია ჩიტაშვილი
10. დოქტორანტი გიორგი ამირანაშვილი (სხდომის მდივანი)

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ჩამოყალიბება;
2. „სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელის არჩევა
3. ინსტიტუტის წევრების (სამეცნიერო პერსონალის) არჩევა;
4. ინსტიტუტის მიერ 2016 წლისათვის ზოგიერთი სამეცნიერო ღონისძიების განსაზღვრა.

<u>პირველ საკითხზე</u> მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ზოიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს არჩევა მოხდება ინსტიტუტის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. მან კრებას წარუდგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, შემდეგი შემადგენლობით: ბესარიონ ზოიძე, ირაკლი ბურდული, ლადო ჭანტურია, თევდორე ნინიძე, თამარ ზარანდია, მარიამ ცისკაძე, ქეთევან ქოჩაშვილი, თამარ ზოიძე, ნათია ჩიტაშვილი.
კრების მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნული შემადგენლობით სამეცნიერო საბჭოს შექმნას.

<u>მეორე საკითხთან დაკავშირებით</u>, პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ „სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შესთავაზა ასოცირებული პროფესორი, ქალბატონი თამარ ზარანდია.
სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ კანდიდატურას.

<u>მესამე საკითხიდან გამომდინარე,</u> პროფ. ბ. ზოიძემ, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრების გარდა, ინსტიტუტის წევრებად საბჭოს შესთავაზა კანდიდატურები,

რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ამასთან დაკავშირებით, ესენია: ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ამირანაშვილი, ანა თოხაძე, ლია შატბერაშვილი, სერგი ჯორბენაძე, სალომე ქერაშვილი, დემეტრე ეგნატაშვილი, თამარ ხუბაშვილი, გიორგი რუსიაშვილი, ვახტანგ ზაალიშვილი, გია ლილუაშვილი, თამარ ჩიტოშვილი, ვალერი ხრუსტალი, მიხეილ ბიჭია, ნუნუ კვანტალიანი, კახა ფალავანდიშვილი, ლალი ლაზარაშვილი, შორენა ჯანხოთელი, ეკა ზარნაძე, ანდრეა ბორონი, ევგენია კურზინსკი-სინგერი.

<u>მეოთხე საკითხიდან გამომდინარე,</u> საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს ჩატარდება ორი სამეცნიერო კონფერენცია (ერთი ივნისის დასაწყისში), მეორე (ნოემბრის ბოლოს). პირველი ეხება სამართალსუბიექტობის პრობლემას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე, მეორე კი - ქონებრივ უფლებათა რეგისტრაციის პრობლემას. მოწონებულ იქნა პროფ. ლადო ჭანტურიას წინადადება, რომ ინსტიტუტში ეპიზოდურად ჩატარებულიყო სამეცნიერო და სახელისუფლებო ორგანოებიდან მოწვეული კომპეტენტური პირების მოხსენებები კერძო სამართლის აქტუალურ პრობლემებზე.

<u>დაადგინეს:</u>

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით: ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე),ირაკლი ბურდული, ლადო ჭანტურია, თევდორე ნინიძე, თამარ ზარანდია, მარიამ ცისკაძე, ქეთევან ქოჩაშვილი, თამარ ზოიძე, ნათია ჩიტაშვილი;
2. „სამოსამართლო კერძო სამართლის კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელად არჩეულ იქნეს თამარ ზარანდია;
3. ინსტიტუტის წევრების სრული შემადგენლობა (სამეცნიერო საბჭოს წევრებთან ერთად) განისაზღვროს შემდეგი სახით: 1. ბესარიონ ზოიძე, 2. ირაკლი ბურდული, 3. ლადო ჭანტურია, 4. თევდორე ნინიძე, 5. თამარ ზარანდია, 6. მარიამ ცისკაძე, 7. ქეთევან ქოჩაშვილი, 8. თამარ ზოიძე, 9. ნათია ჩიტაშვილი; 10. ზურაბ ძლიერიშვილი, 11. გიორგი ამირანაშვილი, 12. ანა თოხაძე, 13. ლია შატბერაშვილი, 14. სერგი ჯორბენაძე, 15. სალომე ქერაშვილი, 16. დემეტრე ეგნატაშვილი, 17. თამარ ხუბაშვილი, 18. გიორგი რუსიაშვილი, 19. ვახტანგ ზაალიშვილი, 20. გია ლილუაშვილი, 21. თამარ ჩიტოშვილი, 22. ვალერი ხრუსტალი, 23. მიხეილ ბიჭია, 24. ნუნუ კვანტალიანი, 25. კახა ფალავანდიშვილი, 26. ლალი ლაზარაშვილი, 27. შორენა ჯანხოთელი, 28. ეკა ზარნაძე, 29. ანდრეა ბორონი, 30. ევგენია კურზინსკი-სინგერი.
4. მოწონებულ იქნეს ინსტიტუტის უახლოესი სამეცნიერო ღონისძიებები.

ბესარიონ ზოიძე
თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი,
სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ამირანაშვილი
სხდომის მდივანი